



# აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა- მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლა



2018 weli  
Tbilisi

# 2017-2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და ნარმატებები

- 2017-2018 სასწავლო წლის kursdamTavrebulTa Sedegebi erTian erovnul gamocdebze



# 2017-2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- 2017-2018 სასწავლო წელს 42-ე საჯარო სკოლის
- 21-მა მოსწავლემ სკოლა წარჩინებით დაამთავრა
- აქედან 16-მა ოქროს, ხოლო 5-მა ვერცხლის მედალი დაიმსახურა;

# 2017-2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

- 2017-2018 წლის ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში ელექტრული ინჟინერიის ფაკულტეტზე მათემატიკის ჩამბარებელ აბიტურიენტებს შორის **სოფო ჩოხელმა** დაიმსახურა პირველი ადგილი;
- 2017-2018 წლის ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე **თინათინ ხაჩირაშვილი** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ბიოლოგიის ჩამბარებელ აბიტურიენტებს შორის საგრანტო ქულებით პირველ ადგილზეა;
- 2017-2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საგრანტო ქულებით ქიმიის ჩამბარებელ აბიტურიენტთა შორის **ანი ციმაკურიძემ** თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში მედიცინის ფაკულტეტზე პირველი ადგილი დაიკავა.
- 2017-2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებზე მათემატიკის ჩამბარებელ აბიტურიენტებს შორის **თამთა ლაზიაშვილი** თავისუფალ უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტზე პირველ ადგილზეა;
- 2017-2018 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების საგრანტო ქულებით მათემატიკის ჩამბარებელ აბიტურიენტთა შორის **მათე გოგიბერიძემ** აგრარულ უნივერსიტეტში კომპიუტერული ინჟინერიის ფაკულტეტზე პირველი ადგილი დაიკავა.
- 2017-2018 წლის ერთიანი ეროვნულ გამოცდებზე **მარინა აბრამიძემ** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისურის გამოცდაზე დაიმსახურა მაქსიმალური შეფასება 90 ქულა;

# 2017-2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

## მოსწავლეთა წარმატებები

### წარჩინებული მოსწავლეები ლექტორებით დასაჩუქრდნ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა, ქალაქ თბილისის მერმა და თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ თბილისის საჯარო სკოლების 356 მეთექვლასელს საჩუქრად პერსონალური კომპიუტერები გადასცეს. ჩვენი სკოლიდან



პერსონალური კომპიუტერი შემდეგ **დებორე გელაშვილი, ირაკლი ხუციშვილი, სალომე ბადიაშვილი, ექვს მოსწავლეს გადაეცა: ელენე კაკაბაძე, ნატა აბაიაძე.**

ამ მოსწავლეებმა საბაზო საფეხური (მე-7, მე-8 და მე-9 კლასები) წარმატებით დაასრულეს და მათი საფეხურის ნიშანი გახლავთ 10 ქულა დამრგვალების გარეშე.



# მოსწავლეების საერთაშორისო წარმატება

2018 წლის 13-17 იანვარს ყაზახეთის ქალაქ ალმატიში ჩატარდა **ჟაუტიკოვის** სახელობის მე-14 საერთაშორისო ოლიმპიადა მათემატიკაში, ფიზიკასა და ინფორმატიკაში. წელს ოლიმპიადაზე 15 ქვეყნის 58 სკოლის გუნდი იყო წარმოდგენილი. მათ შორის ტრადიციულად მონაწილეობდნენ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის მოსწავლეთა გუნდიც.



ჩვენი სკოლის მოსწავლეები წარმატებით გამოვიდნენ ამ მეტად პრესტიჟულ ოლიმპიადაზე. **მეთორმეტეკლასელმა ზურაბ ჭაშმა** ფიზიკაში **ბრინჯაოს** მედალი მოიპოვა, **ბრინჯაოს** მედალი დაიმსახურა ასევე ინფორმატიკაში მეთერთმეტე კლასის **მოსწავლემ ნიკა სალიამ**.

# ჩვენი სკოლის მოსწავლე ზურაბ ჯაში ფიზიკის 49-ე საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადის (IPHO 2018)-ის ვერცხლის მედალოსანია

ფიზიკის საერთაშორისო ოლიმპიადაზე აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის მოსწავლემ **ზურაბ ჯაშია ვერცხლის** მედალი მოიპოვა!!!

ფიზიკის 49-ე (IPhO) საერთაშორისო ოლიმპიადა 21-29 ივლისს, პორტუგალიაში, ქ. ლისაბონში ირატარდა.

საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადებისათვის ნაკრები გუნდის წევრები 2018 წლის ეროვნული სასწავლო ოლიმპიადის მესამე ტურის შედეგებისა და შესარჩევი ტურების შედეგად შეირჩნენ.



# ჩვენი სკოლის მოსწავლე დავით რიჟინაშვილი ქიმიის საერთაშორისო ოლიმპიადის (IChO-2018) ბრინჯაოს მედლის პრიზიორია.



ქიმიის 50-ე საიუბილეო საერთაშორისო ოლიმპიადაზე (IChO-2018), საქართველოს მოსწავლეთა ეროვნულმა ნაკრებმა სამი ბრინჯაოს მედალი და ერთი საპატიო დიპლომი მოიპოვა.

**ბრინჯაოს** მედალი დაიმსახურა ჩვენი სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლემ **დავით რიჟინაშვილმა**.



# თავისუფალი აზროვნების კონკურსის გამარჯვებული



თავისუფალი უნივერსიტეტის მართვისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების სკოლის ორგანიზებული თავისუფალი აზროვნების კონკურსში ჩვენი სკოლის მეთორმეტე კლასის მოსწავლემ **თათა ბეჟუაშვილმა** მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა.

კონკურსის შედეგად გამოვლენილმა გამარჯვებულებმა თავისუფალ უნივერსიტეტში სწავლის დასაფინანსებლად სასწავლო ვაუჩერები მიიღეს.

# IX კლასის მოსწავლეები გუნდური ინტელექტუალური თამაშის „ტვინების ბრძოლა“ გამარჯვებულები გახდნენ



გუნდურ ინტელექტუალურ თამაშში „**ტვინების ბრძოლა**“ მონაწილეობდა საქართველოს მასშტაბით სკოლის სახელით მოასპარეზე 30 გუნდზე მეტი. მათ შორის იყვნენ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის N 42 საჯარო სკოლის გუნდებიც.

ფინალური შეჯიბრის შემდეგ გამოვლინდა ერთი გამარჯვებული გუნდი, ჩვენი სკოლის IX-5 კლასის მოსწავლეები: **გიორგი ჭიკაიძე, გიორგი მეფარიშვილი, დარი მაისურაძე, ანა ჯაფარიძე და ალექსანდრე გუნია.**

# მათემატიკური ფესტივალი- 2018

2018 წლის 14 მარტს, საქართველოში უკვე მესამედ ჩატარდა ყველაზე მასშტაბური, ყოველწლიური „**მათემატიკის ფესტივალი**“.

მათემატიკის ფესტივალზე ჩატარდა  $\pi$  რიცხვის კონკურსი, რომელშიც ჩვენი სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ **ნიკოლოზ შენგელაიამ** გაიმარჯვა. მას ორგანიზატორებისგან გადაეცა კომპანია „ექსპერიმენტორიუმის“ საოჯახო მოსწვევი და  $\pi$ -ის ფორმის თასი.

კონკურსის ყველა მონაწილე სიგელებით დაჯილდოვდა.





# ჩვენი სკოლის მოსწავლეები „ ქვიდიჩის „ ინტელექტუალური ოლიმპიადის თბილისის ჩემპიონები გახდნენ

ორგანიზაცია ინგლისურმა სახლმა საქართველოში ჩაატარა „ **ქვიდიჩის** „ ინტელექტუალური ოლიმპიადა ინგლისურ ენაზე. მონაწილე სამოც გუნდს შორის აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის N42 საჯარო სკოლის სამი გუნდი მონაწილეობდა.

ჩვენი სკოლის გუნდის წევრები: **ზურა ჭაში, ანასტასია იოსებაძე, ანასტასია კვინიკაძე, დავით გულუა და ნიკა სობაძე** ოლიმპიადის თბილისის ჩემპიონები გახდნენ.





# წარმატებული კურსდამთავრებულები

## ჩვენი სკოლის წარმატებული კურსდამთავრებულები აშშ-ის უმაღლესებში

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ  
თბილისის № 42 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულმა **საბა  
ხარაბაძემ, გუგა ხუნდაკიშვილმა და ბექა მოდრეკილაძემ** Purdue  
University-ს ფიზიკის PhD პროგრამაზე დაფინანსება მიიღეს და  
მომდევნო 4-5 წლის განმავლობაში სასწავლო პროგრამასთან ერთად  
მუშაობის შესაძლებლობასაც ექნებათ. ამერიკული მხარე  
ახალგაზრდებს უწევს Teaching Assistantებად დაასაქმებს.



# ჩვენი სკოლის კურსდამთავრებული გიორგი მჭედლიძის დიდი წარმატება "NASA" -ში



კოლუმბიის უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის 22 წლის სტუდენტმა - გიორგი მჭედლიძემ, თანამოაზრე პედაგოგებთან და სტუდენტებთან ერთად შეიმუშავა სრულიად ახალი ძრავებისა და ფიუზელაჟის მომავლის თვითმფრინავის მოდელი, რომელმაც ნასას მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და 2017 წლის 26 სექტემბერს მიწვეულნი არიან NASA -ს სათაო ცენტრში პროექტის ოფიციალურ პრეზენტაციაზე. "გრიფონის" იდეის ავტორები არიან გიორგი მჭედლიძე და მისი თანაკურსელი - ილონ გორდონი. გიორგი მჭედლიძე აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულია. ვულოცავთ მას ამ წარმატებას ვუსურვებთ კიდევ მრავალ გამარჯვებას..

## ჩვენი სკოლის კურსდამთავრებულის გიორგი ბახტაძის მეორე სამეცნიერო ნაშრომი

თავისუფალი უნივერსიტეტის ფიზიკის სკოლის სტუდენტმა **გიორგი ბახტაძემ** განახორციელა უკვე მეორე სამეცნიერო კვლევა მაღალი ენერგიების ასტროფიზიკის დარგში (პირველი ნაშრომი დაბეჭდილია სამეცნიერო ჟურნალში „International Journal of Modern Physics“).

ნაშრომი გაგზავნილია საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში. ასევე, მისი ნახვა შესაძლებელია სამეცნიერო სტატიების არქივშიც გიორგის სამეცნიერო შედეგები "ცოდნის ფონდის" ფინანსური მხარდაჭერით 2016 (მალტა) და 2018 (ჰელსინკი) წლებში ფიზიკის სტუდენტურ სა ე წარადგინა.





ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მიერ ორგანიზებულ პროექტში „ Human Rights and Democracy in Action“ გაიმარჯვეს

European Union“ და “ Council of Europe“ საერთო პროგრამის „ Human Rights and Democracy in Action“ ფარგლებში მიმდინარე პროექტში მონაწილეობდა საქართველოს სკოლების გუნდები. პროექტს კოორდინირებას უწევდა საქართველო, ხოლო მონაწილე ქვეყნები გახლდათ ანდორა, ხორვატია და სლოვაკეთი.

პროექტის ფარგლებში ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა -**თამთა თოფურიამ, ლიკა ზურაბიანმა და ბარბარე მახარაძემ** მოამზადეს ფილმი, რომელშიც ასახული იყო სკოლაში დემოკრატიული კულტურის პრინციპები და კომპეტენციები. ოთხმოცი ვიდეორგოლიდან ჩვენი სკოლის გუნდის წევრების მიერ მომზადებული ფილმი დასახელდა ათ საუკეთესო გამარჯვებულ ფილმში. მოსწავლეებს და პედაგოგებს გადაეცათ სერტიფიკატები.





## ჩვენი სკოლის X-3 კლასის მოსწავლეების ანი შატაკიშვილისა და ნუცა მაისაშვილის მიერ განხორციელებული ორდღიანი ტრენინგი თემაზე: “ცხოვრება კიბეა და არა ესკალატორი“



ჩვენი სკოლის X-3 კლასის მოსწავლეების **ანი შატაკიშვილისა და ნუცა მაისაშვილის**

ორგანიზებით VII-XI კლასის მოსწავლეებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე: „ ცხოვრება კიბეა და არა ესკალატორი“.

პროექტის მიზანი გახლდათ მოსწავლეებში წარმატებისკენ მიმავალი გზის სწორად დანახვა და ამასთანავე ცნობიერების ამაღლება ადამიანებთან კომუნიკაციისას და მათთან სწორი ურთიერთობების ჩამოყალიბება.

# მოსწავლეების მიერ ორგანიზებული ინტერაქტიული ტრენინგ კურსი „ იცოდე შენი უფლებები“



ჩვენი სკოლის მეათე კლასის მოსწავლეების **მარიამ რეხვიაშვილისა** და **ანუკი ნიკოლაიშვილის** ორგანიზებით ჩატარდა 2 დღიანი ინტერაქტიული ტრენინგ კურსი თემაზე: **-"იცოდე შენი უფლებები"**.

პროექტში მონაწილეობას იღებდა 8-9-10 კლასის მოსწავლეები.

ტრენინგი მოიცავდა სამი ძირითადი საკითხის განხილვასა და მრავალი სახის შემეცნებით აქტივობას. ორი დღის განმავლობაში მოსწავლეებმა განიხილეს შემდეგი თემები: "ფემინიზმი", "გენდერული თანასწორობა" და "ოჯახური ძალადობა".

პროექტის ორგანიზატორების თქმით ტრენინგის მიზანი გახლდათ მათ თანატოლებში ცნობიერების ამაღლება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

# აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის 42-ე საჯარო სკოლა ახალგაზრდა ნატურალისტთა მე-6 საერთაშორისო ტურნირის თბილისში ჩატარების ორგანიზატორია

2018 წლის 5-12 ივლისს თბილისში ერთერთ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებას უმასპინძლა - ახალგაზრდა ნატურალისტთა მე-6 საერთაშორისო ტურნირს, რომელშიც 9 ქვეყნის 15 გუნდი მონაწილეობდა. მათ შორის იყვნენ ახალგაზრდა ნატურალისტები და მათი ხელმძღვანელები ახალი ზელანდიიდან, შვეიცარიიდან, რუსეთიდან, ხორვატიიდან, ინდონეზიიდან და სხვა ქვეყნებიდან.

ტურნირის ჩატარების ინიციატორები და ორგანიზატორები გახლდათ აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის №42 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე და ადგილობრივი ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი ბატონი **თეიმურაზ გაჩეჩილაძე** და ასევე 42-ე საჯარო სკოლის ტურნირების წრის ხელმძღვანელი და ადგილობრივი ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ხომერიკი**.





# სკოლამ დანიის მასწავლებელთა ეროვნული პროფკავშირების დელეგაციას უმასპინძლა

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერების თავისუფალი პროფკავშირის მოწვევით, საქართველოში იმყოფებოდა დანიის მასწავლებელთა ეროვნული პროფკავშირის (GL) დელეგაცია, რომლის წარმომადგენლებიც აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის N 42 საჯარო სკოლას ეწვივნენ.

სტუმრები დაესწრნენ ჩვენი სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგის ქალბატონ მაკა ბიბილეიშვილის გაკვეთილს, გაკვეთილის თემატიკა გახლდათ: „მედია-მეოთხე ხელისუფლება“.

მსგავსი ტიპის შეხვედრები მიზნად ისახავს ორი ქვეყნის საგანმანათლებლო სიახლეების გაზიარებას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების თანერეალსა და თანამშრომლობას.





# აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკის ქალაქ თბილისის N 42 საჯარო სკოლამ ევროსაბჭოს განათლების დეპარტამენტის დელეგაციასა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების განათლების სფეროს წარმომადგენლებს უმასპინძლა

- ევროსაბჭოს განათლების დეპარტამენტის დელეგაცია, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების განათლების სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, N42 საჯარო სკოლას ეწვია და ადამიანის უფლებების სწავლებისა და დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების შესახებ საქართველოში არსებულ გამოცდილებას ადგილზე გაეცნო. პროექტში აღმოსავლეთ პარტნიორობის 6 ქვეყანაა ჩართული.. კონფერენციის მონაწილეებმა პროექტი შეაჯამეს და ერთმანეთს მისი დანერგვის პროცესში მიღებული გამოცდილება და პრაქტიკა გაუზიარეს.



## 2018 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსის - „მეცნიერება იწყება სკოლიდან-კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“

სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტი 2018 წლის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში – „მეცნიერება იწყება სკოლიდან –კვლევები მოსწავლეთა მონაწილეობით“ გამარჯვებულად დასახელდა და დაფინანსდა ათი საკონკურსო ნამუშევარი, მათ შორისაა ჩვენი სკოლის პედაგოგების გამარჯვებული პროექტები:

**„კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება“**-პროექტის ხელმძღვანელი **ნინო მთიულიშვილი**

**„დიოფანტური განტოლებები“**-პროექტის ხელმძღვანელი -**კოტე კუპატაძე**

**სალენის ტიპის ნაერთების სინთეზი და ბიოლოგიური აქტიურობის კვლევა“**-პროექტის ხელმძღვანელი -**თინათინ ბუთხუზი**

სექტემბერში დაიწყება გამარჯვებული პროექტების განხორციელება, რომელიც 24 თვის განმავლობაში გაგრძელდება. პროექტი **„კლიმატის ცვლილება და მდგრადი განვითარება“**- ხელმძღვანელთან და მოსწავლეებთან ერთად მიწვეულია სამეცნიერო ფესტივალზე.



# მოსწავლეების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით 42 საჯარო სკოლა ყოველწლიურად უცხოეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლების მასპინძლობს ბულგარეთში AUBG ამერიკულ უნივერსიტეტის პროფესორები სკოლაში

2018 წლის 17 ოქტომბერს  
საერთაშორისო განათლების  
ცენტრის ორგანიზებით სკოლას  
ბულგარეთის ამერიკული  
უნივერსიტეტის  
წარმომადგენლები ესტუმრნენ.  
სტუმრებმა აბიტურიენტებს  
გააცნეს უნივერსიტეტის  
საბაკალვრო პროგრამები,  
ესაუბრნენ სწავლის  
დაფინანსების სხვადასხვა  
შესაძლებლობებზე.





# მოსწავლეების პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის ხელშეწყობის მიზნით 42 საქარო სკოლა ყოველწლიურად უცხოეთის უნივერსიტეტების წარმომადგენლებს უმასპინძლებს

## სკოლაში სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლებს უმასპინძლა

სკოლაში სტუმრად იმყოფებოდნენ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დეკანი საქართველოში კენ უოლში, ათასწლეულის გამონვევის კორპორაციის საქართველოს წარმომადგენლობის დირექტორი ჯენერ ედელმანი და ათასწლეულის გამონვევის ფონდის უმაღლესი და პროფესიული განათობის პროექტის დირექტორი ნოლარ სურგულაძე.

სტუმრები ტექნოლოგიური და საბუნებისმეტყველო საგნებით დაინტერესებულ მე-12 კლასელებს შეხვდნენ. მათ მოსწავლეებს SDSU-ს საქართველოს პროგრამის შესახებ ვრცელი პრეზენტაცია წარუდგინეს.





# ISET-ის პროფესორების საჯარო ლექციები სკოლაში

სკოლაში უფროსკლასელთათვის მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET)-ის პროფესორების საჯარო ლექციები ეკონომიკაზე. ლექციებს კითხულობდნენ ISET-ის პრეზიდენტი **ერიკ ლივნი**, ეკონომიკური საკითხების ექსპერტები **საქართველოში გიორგი ბაქრაძე და თეიმურაზ გოგსაძე**.



# ევროპის დღე-2018



2018 წლის 26 მაისს რიყის პარკში „ევროპის დღის“ აღსანიშნავად ინფორმაციული და გასართობი ღონისძიებები გაიმართა. ღონისძიებაში ჩვენი სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ, რომლებსაც დათმობილი ჰქონდათ კუთხე, სადაც წარმოადგინეს სახალისო სამეცნიერო ექსპერიმენტები, რომლის ნახვა და მასში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა იქ მოსულ სტუმარს. ღონისძიებას ესწრებოდა საქართველოს მთავრობის წევრები და უცხო ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლები.



# 2017-2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

## სტანდარტზედა მომსახურება

სკოლაში მოსწავლეთათვის წარმატებით ხორციელდება შემდეგი სტანდარტზედა მომსახურების სერვისები:

- **logikis damatebiTi kursi**
- **menejmenti**
- **Jurnalistika (I –II nawili)**
- **programireba (I –II nawili)**
- **buRalteriis sabazo kursi**
- **konfliqtebis marTva da molaparakebebis xelovneba**
- **eleqtruli kvanZebi da qselebi**
- **oratoruli xelovneba**
- **werisa da metyvelebis kultura**
- **msoflio literatura antikuridan dRemde**
- **evropuli moqalaqeoba/gza evropisken**



# სტანდარტზედა მომსახურების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

## სკოლაში სასწავლო კურსის „გზა ევროპისკენ/ევროპული მოქალაქეობა“ შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.

2018 წლის 3 ივნისს სკოლაში სასწავლო კურსის „გზა ევროპისკენ/ევროპული მოქალაქეობა“ შემაჯამებელი ღონისძიება გაიმართა.

მოსწავლეებმა გამოფენაზე ევროპული სახელმწიფოების კულტურა, ტრადიციები და ღირებულებები წარმოადგინეს. უფროსკლასელებმა მონვეულ სტუმრებს იმ გზის შესახებაც უამბეს, რომელიც ევროკავშირის წევრმა ქვეყნებმა გაიარეს.



საუკეთესო სტენდების ავტორებს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრის მიერ დანესებული სიმბოლური საჩუქრები და სერტიფიკატები გადაეცათ. აღნიშნული კონკურსი უკვე მეორედ განხორციელდა. „გზა ევროპისკენ/ევროპული მოქალაქეობის“ მონაწილეებს სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სხვადასხვა საინტერესო ღონისძიების განახორციელების საშუალებაც მიეცათ. პროექტი მიზნად ევროპული ღირებულებების პოპულარიზაციას ისახავდა.

# სტანდარტზედა მომსახურების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები

სასწავლო კურსის „მენეჯმენტის“ შემაჯამებელი პრეზენტაცია და მოსწავლეების ექსკურსია „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ კომპანიაში.

შემაჯამებელ პრეზენტაციაზე მენეჯმენტის მსმენელებმა წარმოადგინეს პროექტები. ისინი კურსის ფარგლებში სწავლობდნენ პროექტების მართვის ეფექტურ მიდგომებს, პროექტის გუნდის შექმნას, დროის სტრესის და კონფლიქტის მართვას, საფასო სტრატეგიების შექმნას, რისკებისა და კრიზისების მართვის მეთოდებს, საერთაშორისო

სტანდარტების დაცვით.

პროგრამის ფარგლებში, განხორციელოდა სასწავლო შემეცნებითი ექსკურსია კურსის მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ კომპანიაში. მოსწავლეებმა

დაათვალიერეს კომპანიაში მიმდინარე სამუშაო პროცესი, ნედლეულიდან მზა პროდუქციამდე.





# 2017-2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები ჩვენი ბიბლიოთეკა

აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა -მათემატიკის ქალაქ  
თბილისის N42 საჯარო სკოლა საქართველოს საბიბლიოთეკო  
ასოციაციის წევრია.

საერთაშორისო ასოციაციის წევრია ასევე  
სკოლის ბიბლიოთეკარი – მედეა მოსიავა:






# 2017-2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

სკოლამ ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ბიბლიოთეკათა ასოციაციასთან და შიეძინა ბიბლიოთეკისთვის ელექტრონული კატალოგი “Openbiblio”.

საბიბლიოთეკო პროგრამა Openbiblio განკუთვნილია სასკოლო, საუნივერსიტეტო, საეკლესიო, ასოციაციების, ორგანიზაციების ბიბლიოთეკებისათვის ან კერძო კოლეჯებისათვის. მასში შესაძლებელია 60000-მდე ბიბლიოგრაფიული ჩანაწერის გაკეთება და მართვა.

2014-2015 სასწავლო წლის დასასრულისთვის პროგრამაში დარეგისტრირებულია ბიბლიოთეკაში არსებული ყველა წიგნი და ჟურნალ-გაზეთები. ასევე შეიქმნა ანბანური და სისტემატიური კატალოგების ელექტრონული ვერსიები, თემატური კატალოგები, კატალოგები განყოფილებების მიხედვით.



# ბიბლიოთეკის აქტიური მკითხველები სიგელებით დაჯილდოვდნენ

ყოველწლიურად სკოლის ბიბლიოთეკარი მედეა მოსიავა რეიტინგის მიხედვით გამოავლენს სკოლის ბიბლიოთეკის აქტიურ მკითხველებს, რომლებსაც სკოლის ადმინისტრაცია სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით აჯილდოვებს.

**ყოველივე ეს ხელს უწყობს მოსწავლეებში წიგნიერების დონის ამაღლებას.**



# 2017-2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები

## მოსწავლეთა სამოქალაქო კლუბების მიმართულებები

- 1 • ევროინტეგრაცია
- 2 • გაერო
- 3 • ნატო
- 4 • გარემოს დაცვა
- 5 • თანადგომა
- 6 • ჯანსაღი ცხოვრების წესი




# 2017-2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები



*მონაწილეობა ევროპის სკოლის მოსწავლეთა გაერთიანებების საორგანიზაციო ბიუროს (OBESSU) მიერ წარმართულ საერთაშორისო კონფერენციაში.*

*ვიზიტი სტრასბურგის ევროპის ახალგაზრდულ ცენტრში*



*ვიზიტი ბუდაპეშტის ახალგაზრდულ ცენტრში*

# 2017-2018 წლის მნიშვნელოვანი მოვლენები და წარმატებები



**USAID**  
FROM THE AMERICAN PEOPLE

**PH** international

სკოლა ჩართულია სამოქალაქო განათლებისა და პედაგოგთა  
გადამზადების პროგრამაში-PH International-ი (დაფინანსებულია  
USAID-ის მიერ)

## **პროგრამის ფარგლებში მოსწავლეთა სამოქალაქო კლუბმა**

• მოიპოვა 2 გრანტი პროექტებისათვის "წიგნიერება  
ქველმოქმედებისათვის" და „ხელი ხელს“ .

\* მიიღო დაფინანსება მოსწავლეთა ინიციატივის  
განხორციელებისათვის  
„სემინარები ბლოგების შექმნისათვის“.

\* კონკურსის გზით მოიპოვა ტექნიკის კომპლექტი: ლეპტოპი,

**აკადემიკოს ილია ვეკუას  
სახელობის ფიზიკა მათემატიკის  
#42 საჯარო სკოლა**

**გმადლობთ ყურადღებისათვის!**